საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ხელოვნების ისტორია და თეორია

პროგრამის ხელმძღვანელები: ანა კლდიაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
თსსა პროფესორი
ნინო ჭოღოშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
თსსა პროფესორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ

სხდომის ოქმი N21 24.04.2023

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

ხელოვნების ისტორია ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული სამეცნიერო დისციპლინაა, რადგან საქართველო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით უმდიდრესი ქვეყანა გახლავთ და ამ მემკვიდრეობის შესწავლა და მისი კვლევა ჩვენი იდენტობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორედ ხელოვნების ისტორიის შესწავლა და კვლევაა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პროირიტეტი. ამ საქმეს ემსახურება 1967 წელს აკადემიაში დაფუძნებული, თავდაპირველად ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, ამჟამად კი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, რომელიც ქართული ხელოვნების ძეგლთა მხატვრული ღირებულების შემსწავლელ სამეცნიერო და ასევე ხელოვნების ისტორიკოსთა აღმზრდელ პედაგოგიურ ცენტრს წარმოადგენს და რომელიც აგერ უკვე 50 წელზე მეტია ზრდის ხელოვნებათმცოდნეებს და აგრძელებს გ. ჩუბინაშვილის სახელოვნებათმცოდნეო სკოლის ტრადიციებს.
ამ ფაკულტეტზე შემუშავებული საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ მიზნად ისახავს აღზარდოს ხელოვნების ისტორიკოსი, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა ხელოვნების ისტორიაში. საბაზისო ცოდნა მოიცავს როგორც მსოფლიო ხელოვნების, ისე ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარების გზებს უძველესი დროიდან დღემდე; ასევე მოიცავს ხელოვნების დარგების, ჟანრებისა და ხელოვნების თანამედროვე ფორმების შესახებ ცოდნას; სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგისათვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებების ანალიზის ანუ ფორმის ანალიზის მეთოდების ცოდნასა და მათ გამოყენებას, ხელოვნების ნიმუშის კონტექსტში ჩასმას.

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები. Arts and Humanities
ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 021 ხელოვნება. Arts
დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0213 სახვითი ხელოვნება. Fine Arts

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში. 0213.1.5
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
სწავლების ხანგრძლივობა – 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

• ბაკალვარს მისცეს მსოფლიო და ქართული ხელოვნების დარგების (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება და სხვა ვიზუალური ხელოვნება) განვითარების ეტაპების, ხელოვნების ძირითადი სტილების, მხატვრული სკოლების, მიმდინარეობების, მათი მახასიათებლებისა და მხატვრული ტენდენციების ფართო ზოგადი ცოდნა;
• ბაკალავრს გააცნოს ხელოვნების დარგები, ჟანრები, თანამედროვე ხელოვნების ფორმები და მათი სპეციფიკა, დამახასიათებელ ნიშნები, რათა მან მოახდინოს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშების დარგისა და ჟანრის იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია;
• ბაკალავრს გააცნოს სხვადასხვა პერიოდის საეტაპო ძეგლები და კონკრეტულ ხელოვანთა შემოქმედება;
• ბაკალავრს მისცეს სახელოვნებათმცოდნეო მეთოდების (ფორმის ანალიზი, ფორმის კომპარატივისტული ანალიზი, იკონოგრაფია და იკონოლოგია) ძირითადი პრინციპების, ინსტრუმენტების, მხატვრული საშუალებების და მათი ფუნქციების შესახებ ცოდნა;
• ბაკალავრი ფლობდეს ხელოვნების ისტორიის პრაქტიკული სფეროების (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, კულტურის მენეჯმენტი, სახელოვნებო ბაზარი, მედია და ა.შ.) შესახებ ზოგად ინფორმაციას;
• ბაკალავრს შეეძლოს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი, კომპარატივისტული, იკონოგრაფიული და იკონოლოგიური ანალიზის მეთოდების გამოყენება ხელოვნების ნიმუშის/არტეფაქტის შესწავლა-შეფასების მიზნით, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
• ბაკალავრმა სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინაში (ლიტერატურა, ფილოსოფია, თეოლოგია, ესთეტიკა, ფსოქოლოგია, კულტუროლოგია და სხვ.) მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლოს ხელოვნების ნიმუშების ისტორიული, კულტურული, ფილოსოფიური, თეოლოგიური თუ სოციალური კონტექსტის აღწერა და კონკრეტულ ნამუშევრის/არტეფაქტის თუ ხელოვანის შემოქმედების ამა თუ იმ ეპოქის კონტექსტში ჩასმა;
• ბაკალავრმა შეძლოს დარგში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით ხელოვნების ნიმუშების შესწავლა და წინასწარ განსაღვრული მითითებების შესაბამისად, კვლევითი ხასიათის წერით ნაშრომის/პროექტის აკადემიური სტანდარტებისა და კეთილსინდისერების პრინციპების დაცვით შექმნა.
• ბაკალავრმა შეძლოს დამოუკიდებლად დაგეგმოს და წარმართოს საკუთარი პროფესიული საქმიანობა, დაიცვას პროფესიული ეთიკის პრინციპები.
• ბაკალავრს ჰქონდეს კომუნიკაციის უნარი, შეეძლოს პრობლემების ფორმულირება და მათზე მსჯელობა სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე; გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკუმუნიკაციო ტექნოლოგიები და მოამზადოს
პრეზენტაცია.

• ბაკალავრმა შეძლოს საზოგადოების განვითარებაში კულტურის/ხელოვნების ღირებულებითი მნიშვნელობის გაცნობიერება და მონაწილეობა მიიღოს ძველი და თანამედროვე ეპოქების კულტურული და მხატვრული პროცესების ღირებულებათა შეფასებაში.

სწავლის შედეგები:

1. ბაკალავრი ავლენს მსოფლიო და ქართული ხელოვნების (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება და სხვა ვიზუალური ხელოვნება) განვითარების ეტაპების, ხელოვნების ძირითადი სტილების, მხატვრული სკოლების, მიმდინარეობების, მათი მახასიათებლებისა და მხატვრული ტენდენციების ფართო ზოგად ცოდნას;
2. ბაკალავრი იცნობს ხელოვნების დარგებს, ჟანრებს, თანამედროვე ხელოვნების ფორმებს და მათ სპეციფიკას, დამახასიათებელ ნიშნებს; ამის საფუძველზე იგი ახდენს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშების დარგისა და ჟანრის იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციას;
3. ბაკალავრი იცნობს სხვადასხვა პერიოდის საეტაპო ძეგლებსა და კონკრეტულ ხელოვანთა შემოქმედებას;
4. ბაკალავრს აქვს სახელოვნებათმცოდნეო მეთოდების (ფორმის ანალიზი, ფორმის კომპარატივისტული ანალიზი, იკონოგრაფია და იკონოლოგია) ძირითადი პრინციპების, ინსტრუმენტების, მხატვრული საშუალებების და მათი ფუნქციების ცოდნა;
5. ბაკალავრი ფლობს ხელოვნების ისტორიის პრაქტიკული სფეროების (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, კულტურის მენეჯმენტი, სახელოვნებო ბაზარი, მედია და ა.შ.) შესახებ ზოგად ინფორმაციას;
6. ბაკალავრს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზის, კომპარატივისტული, იკონოგრაფიული და იკონოლოგიური ანალიზის მეთოდების გამოყენება ხელოვნების ნიმუშის/არტეფაქტის შესწავლა-შეფასების მიზნით, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
7. ბაკალავრი სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინაში (ლიტერატურა, ფილოსოფია, თეოლოგია, ესთეტიკა, ფსოქოლოგია, კულტუროლოგია და სხვ.) მიღებული ცოდნის საფუძველზე აღწერს ხელოვნების ნიმუშების ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ თუ სოციალურ კონტექსტს და კონკრეტულ ნამუშევარს/არტეფაქტს თუ ხელოვანის შემოქმედებას ამა თუ იმ ეპოქის კონტექსტში სვამს;
8. დარგში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით ბაკალავრი შეიწავლის ხელოვნების ნიმუშებს და წინასწარ განსაღვრული მითითებების შესაბამისად, ქმნის კვლევითი ხასიათის წერით ნაშრომს/პროექტს აკადემიური სტანდარტებისა და კეთილსინდისერების პრინციპების დაცვით.
9. დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარი პროფესიული საქმიანობას, იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

10. აქვს კომუნიკაციის უნარი, შეუძლია პრობლემების ფორმულირება და მათზე მსჯელობა სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკუმუნიკაციო ტექნოლოგიებს და ამზადებს პრეზენტაციას.
11. ბაკალავრი აცნობიერებს კულტურის/ხელოვნების ღირებულებით მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში და მონაწილეობს ძველი და თანამედროვე ეპოქების კულტურული და მხატვრული პროცესების ღირებულებათა შეფასებაში.
12. ბაკალავრი განსაზღრავს მსოფლიო ხელოვნების ნებისმიერი ეტაპის, კულტურის, ცივილიზაციისა თუ ქვეყნის ხელოვნების მნიშვნელობას და მის ადგილს მსოფლიო კულტურის კონტექსტში, ასევე იგი განსაზღრავს ქართული ხელოვნების მნიშვნელობას და მის ადგილს მსოფლიო კულტურის სივრცეში.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით):

სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა;

არჩევითი საგნები პრიორიტეტების მიხედვით: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (კოეფიციენტი 7), ისტორია (კოეფიციენტი 7), ლიტერატურა (კოეფიციენტი 6);

- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრმაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სწავლის ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **240 ECTS** და მისი სტრუქტურა ამგვარია:

1. საბაზისო დისციპლინები - 18 ECTS
2. საუნივერსიტეტო დისციპლინები - 36 ECTS
3. სპეციალობის დისციპლინები და პრაქტიკა - 125 ECTS
4. არჩევითი საგნები - 51 ECTS
5. საბაკაავრო ნაშრომი - 10 ECTS